15.01.2014
იუსტიციის სამინისტრო

ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის

პირველი შეხვედრის ოქმი

ოქმი მომზადებულია ღია მმართველობის პარტნიორობის ეროვნული კოორდინატორის, ქეთევან ცანავას მიერ

1. შეხვედრაზე განსახილველი საკითხები

- ფორუმის სახელმძღვანელო წესების დამტკიცება;
- ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით საჯარო კონსულტაციების დაგეგმვა;
- ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების დაწყება;
  სამოქმედო გეგმის ფორმატის განხილვა იუსტიციის სამინისტროსა და მის მმართველობაში შემავალი სსიპ-ების მიერ 2014-2015 წლებისთვის გათვალისწინებული ახალი ვალდებულებების მაგალითზე;
- ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში საქართველოს მთავრობის მიერ აღებულ ვალდებულებასთან – **Data.gov.ge**-ისთან დაკავშირებული სამომავლო გეგმების განხილვა; მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ ელექტრონული მმართველობის გაძლიერების Twinning პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაო შეხვედრის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

2. ფორუმის დებულების განხილვა

2014 წლის 15 იანვარს საქართველოს იუსტიციის სამინისტროში გაიმართა განახლებული არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმის პირველი შეხვედრა. ვინაიდან განახლებული ფორუმის შემადგენლობაში შედიან როგორც არასამთავრობო/საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე სახელმწიფო უწყებები, განხილვისა და ერთობლივი გადაწყვეტილების შედეგად ფორუმის ახალი სახელწოდება იქნება **ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი.**

სამუშაო შეხვედრა დაიწყო ფორუმის დებულების განხილვით, რომელიც დამსწრეებს წარუდგინა ანტიკორუფციული საბჭოს მდივანმა. ფორუმის გადაწყვეტილებით შეხვედრები გაიმართება ყოველი თვის პირველ ოთხშაბათს. გარდა ამისა, სამდივნოს მიერ მომზადებული ფორუმის დებულების პროექტის მიხედვით ფორუმის შემადგენლობაში არასამთავრობო/საერთაშორისო ორგანიზაციების გარდა, მოიაზრებოდა გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყებები, ფორუმის ერთობლივი გადაწყვეტილების შედეგად აღნიშნული წაიშალა დებულებიდან, რათა ფორუმი არ შეიზღუდოს მხოლოდ გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყებებით და მასში მონაწილეობა შეძლოს ნებისმიერმა საჯარო დაწესებულებამ. გარდა ამისა, ფორუმის ინიციატივაა მის შემადგენლობას დაემატოს კერძო სექტორისა და აკადემიური წრის წარმომადგენლებიც.

შეხვედრაზე მიღწეული შეთანხმების თანახმად ფორუმი გადაწყვეტილებებს მიიღებს უბრალო უმრავლესობით. ფორუმის საქმიანობის მოქნილობის შენარჩუნების მიზნით გადაწყდა, რომ ამ ეტაპზე არ არსებობს ფორმალური პროცედურების შემუშავების აუცილებლობა, ვინაიდან ფორუმის მუშაობის არც ერთ ეტაპზე არ შექმნილა სირთულე გადაწყვეტილებების მიღებისას.

ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის დებულება მიღებულ იქნა ერთხმად.

შეხვედრის რამდენიმე მონაწილის მიერ გაჟღერდა ინიციატივა, შეიქმნას ონლაინ მექანიზმი მათთვის, ვინც ვერ ესწრება ფორუმის შეხვედრას, რათა სისტემატურად მოხდეს ინფორმაციის გაცვლა ფორუმის შემადგენლობას შორის. სამდივნო იღებს ვალდებულებას, ფორუმის შეხვედრის შესახებ (განხილული საკითხები, მიღებული რეკომენდაციები და ა.შ) მოამზადოს დოკუმენტი ყოველი შეხვედრის შემდგომ, რომელსაც ღია მმართველობა საქართველოს ოფიციალური ელექტრონული ფოსტის (ogpgeorgia@justice.gov.ge) მეშვეობით მიაწვდის ფორუმის შემადგენლობას. ჯამპსტარტ საქართველოს ინიციატივით კი ორგანიზაცია შეიმუშავებს და ფორუმს წარუდგენს წინადადებებს ფორუმის ფარგლებში ონლაინ კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებების გამოყენების შესახებ.

3. იუსტიციის სამინისტროს და მის მმართველობაში შემავალი სსიპების ვალდებულებათა განხილვა

იუსტიციის სამინისტრომ, სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტომ, სსიპ იუსტიციის სახლმა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ კიდევ ერთხელ მოკლედ განიხილეს 26 დეკემბრის მრგვალ მაგიდაზე მათ მიერ ახალი სამოქმედო

გეგმისთვის დასახელებული ვალდებულებები. ყველა მათგანი მოიწონა ფორუმმა. აღნიშნულთან დაკავშირებით, ფორუმი შეთანხმდა შემდეგზე: ფორუმის **მეორე სამუშაო შეხვედრისთვის,** რომელიც გაიმართება 2014 წლის **5 თებერვალს,** იუსტიციის სამინისტრომ და მის მმართველობაში შემავალმა სსიპ-ებმა უნდა მოამზადონ ვალდებულებების აღწერა და აღნიშნულის უზრუნველსაყოფად გამოიყენონ OGP Support Unit-ის მიერ მოწოდებული სამოქმედო გეგმის ფორმატი და გაიდლაინები (ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოს წარმომადგენლებმა აღნიშნული დოკუმენტები დეტალურად გააცნეს ფორუმის დამსწრეებს). ზემოთ აღნიშნულმა უწყებებმა ვალდებულებათა პირველადი მონახაზი სამდივნოს უნდა მიაწოდონ ფორუმის მეორე შეხვედრამდე **1 კვირით ადრე,** სამდივნო კი უზრუნველყოფს მის მიწოდებას ფორუმის მთლიანი შემადგენლობისთვის.

იუსტიციის სახლის წარმომადგენელმა ირაკლი ლომიძემ წამოჭრა საკითხი იუსტიციის სახლის კონცეფციის ექსპორტის შესახებ. ფორუმზე განიხილეს რამდენად შეესაბამება აღნიშნული OGP-ის პრინციპებს, გამოწვევებს და უნდა აისახოს თუ არა იგი საქართველოს ახალ სამოქმედო გეგმაში. საკითხი კიდევ ერთხელ იქნება განხილული შემდეგ შეხვედრაზე.

ფორუმმა იუსტიციის სამინისტროს შესთავაზა ვალდებულების ფორმა მისცეს ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის მხარდაჭერას და ახალ სამოქმედო გეგმაში გაიწეროს რამდენი შეხვედრა უნდა შედგეს, რა სახის დოკუმენტები უნდა წარედგინოს სამდივნოს და ფორუმის მუშაობასთან დაკავშირებული სხვა დეტალები.

სამდივნომ ფორუმის დამსწრეებს გააცნო ასევე ღია მმართველობის პარტნიორობის მიერ გეგმის შემუშავებისთვის დადგენილი ახალი ვადები, ცვლილება შემდეგია: საქართველომ სამოქმედო გეგმის პირველადი ვერსია 31 მარტის ნაცვლად უნდა წარადგინოს 2014 წლის **30 აპრილს,** გეგმის საბოლოო ვერსია კი **15 ივნისს.** გეგმის შესრულების პერიოდი აითვლება 2014 წლის **პირველი ივლისიდან.**

4. ღია მონაცემთა პორტალი

მონაცემთა გაცვლის სააგენტომ ფორუმს წარუდგინა ელექტრონული მმართველობის გაძლიერების Twinning პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაო შეხვედრის ინიციატივა, რომლის ფარგლებშიც გერმანელი და ავსტრიელი ექსპერტები

საქართველოში რამდენიმე დღის განმავლობაში ჩაატარებენ სემინარებს ღია მონაცემების და მასთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხების შესახებ. სემინარებზე დასწრების შესაძლებლობა ექნება არასამთავრობო ორგანიზაციებსაც. მონაცემთა გაცვლის სააგენტოს შემოთავაზებით, სემინარების შემდეგ უნდა მოხდეს data.gov.ge-ის დახვეწის დეტალური გეგმის შემუშავება. აღნიშნულს მიესალმა ფორუმის სრული შემადგენლობა.

5. Ichange.ge

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ განსახილველ თემად წამოწია სამთავრობო პორტალი ichange.ge, რომელიც წინა სამოქმედო გეგმის ფარგლებში აღებული ვალდებულებაა და რომელიც ამ ეტაპისთვის ვერ შესრულდა. Ichange.ge-ს მნიშვნელობას გამოეხმაურა ფორუმის უმრავლესობა. შეხვედრაზე აღნიშნულ იქნა პორტალის ამოქმედებისთვის საჭირო რესურსების და ამ მიმართულებით მთავრობის ნების მნიშვნელობა. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) ინფორმაციით მათ მოამზადეს ichange.ge-ს კონცეფცია, რომელიც წარდგენილი და მოწონებულია მთავრობის მიერ. კონცეფციის შემუშავებული მოდელი აქვს ასევე ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას. არასამთავრობოები შეთანხმდნენ დაგეგმონ პრეზენტაცია/განხილვა აღნიშნულ საკითხზე, სადაც დეტალურად ისაუბრებენ მათ მიერ შემუშავებულ ichange.ge-ს კონცეფციასა და მასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებზე. მიღებულ იქნა ასევე გადაწყვეტილება, რომ ფორუმის ერთი შეხვედრა მთლიანად დაეთმობა აღნიშნულის განხილვას. არასამთავრობოები აღნიშნულთან დაკავშირებით მოამზადებენ რეკომენდაციებს მთავრობისთვის წარსადგენად.

6. ღია მმართველობის პარტნიორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება

შეხვედრაზე ისაუბრეს OGP-ის შესახებ ცნობიერების ამაღლების ღონისძიების აუცილებლობაზე. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და IDFI-ის ინიციატივაა სხვადასხვა გადაცემები დაეთმოს OGP-ზე საუბარს; ამ საკითხის ორგანიზებაში ისინი დახმარებას პირდებიან ფორუმს.

7. ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით საჯარო კონსულტაციების დაგეგმვა

ამ საკითხთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციები ერთობლივად შეიმუშავებენ და ფორუმს მეორე შეხვედრაზე წარუდგენენ გეგმას საჯარო კონსულტაციების გამართვის შესახებ. ფორუმის პირველი შეხვედრის ფარგლებში კი

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, USAID-მა, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ და იუსტიციის სახლმა სრული მზადყოფნა გამოთქვეს რეგიონებში მათ დაქვემდებარებაში მყოფი ფილიალები, საზოგადოებრივი ცენტრები თუ დარბაზები გამოიყენონ საჯარო კონსულტაციების გამართვისთვის. ფორუმის გადაწყვეტილებით კონსულტაციები დაიწყება 2014 წლის **15 მარტიდან** (ამ დროისთვის შემუშავებულია სამოქმედო გეგმის პირველადი პროექტი). სამდივნომ მოუწოდა არასამთავრობო ორგანიზაციებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ კონსულტაციების გამართვაში, ვინაიდან ამ პროცესის უზრუნველსაყოფად მხოლოდ სახელმწიფო რესურსი შესაძლოა არ აღმოჩნდეს საკმარისი. არასამთავრობოთა წარმომადგენლები მიესალმნენ ინიციატივას. შესაბამისად, კონსულტაციების გამართვაზე პასუხისმგებლობა აიღო როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ასევე ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნომ.

8. ფორუმი შეთანხმდა შემდეგზე:

1. მეორე სამუშაო შეხვედრაზე არასამთავრობო/საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა წარადგინონ ფორუმის მომხსენებლის კანდიდატურა
2. ასევე მეორე სამუშაო შეხვედრაზე ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნომ უნდა დაასახელოს საჯარო დაწესებულების წარმომადგენელი მომხსენებლის კანდიდატურა.
3. არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა წარადგინონ ერთობლივი გეგმა საჯარო კონსულტაციების გამართვის შესახებ (ამ მიზნით, IDFI-ის ინიციატივით არასამთავრობოები დაგეგმავენ შეხვედრას ფორუმის მომდევნო შეხვედრამდე)
4. სამდივნო ღია მმართველობის პარტნიორობასთან დაკავშირებით დეტალურ ინფორმაციას მიაწვდის კანცელარიას და მათთან ერთად განიხილავს კანცელარიის როლს ღია მმართველობა საქართველოს მიმდინარე პროცესებში.
5. იუსტიციის სამინისტრო და მის მმართველობაში შემავალი სსიპ-ები 1 კვირით ადრე სამდივნოს წარუდგენენ OGP-ის მოთხოვნების შესაბამისად გაწერილ ვალდებულებათა აღწერებს.

9. ფორუმის შეხვედრას ესწრებოდნენ:

იუსტიციის სამინისტრო	რუსუდან მიხელიძე, ქეთევან ცანავა, ნატალია ბარათაშვილი

სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტო	ირაკლი გვენეტაძე, ნატო გოდერძიშვილი
სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	ნანა წიკლაური
სსიპ იუსტიციის სახლი	ირაკლი ლომიძე
კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	ნოდარ ხერხეულიძე
ფინანსთა სამინისტრო	ნინო წიქორია
USAID საქართველო	Louise Makarova, Maris Mikelsons
ჯამპსტარტ საქართველო	ნინო მაჭარაშვილი, Christina Maza
ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	სულხან სალაძე
საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო	ლაშა გოგიძე, თამარ გზირიშვილი, Etienne Baque, Maarten Marx
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი	გიორგი კლდიაშვილი, ლევან ავალიშვილი
ირაკლი ჭელიძე	ილიას უნივერსიტეტის მაგისტრანტი